საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 6 23 0000089117

27/01/2023

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის 2022 წლის 30 დეკემბრის № 1678876 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით, 2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 9 თებერვლის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადის პერიოდში სარგო განისაზღვრება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდგომ - 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
4. საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 15 (თხუთმეტი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი;
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე;

7. ცენტრის საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის სპეციალისტის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი - სამართლის/განათლების მეცნიერებების/სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C1 დონეზე, ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - B2 დონეზე, რუსული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - B2 დონეზე;
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №98/ნ ბრძანება;
ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
გ) ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ცნობის კონვენცია, ლისაბონი. 1997 წელი.
9. საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
ა) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ ცენტრში შემოსული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და განცხადების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია საჭირო ინფორმაციის მოძიების მიზნით;
გ) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შუალედური კორესპონდენციების პროექტების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების/უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების პროექტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ პროექტების მომზადება;
დ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საქმისწარმოების ფარგლებში, უცხოეთიდან შემოსული ინგლისურ და რუსულრენოვანი კორესპონდენციების მოკლე თარგმანის განხორციელება, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას;
ე) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
ვ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
ბ) შედეგზე ორიენტაციის უნარი;
გ) გარე ან/და შიდა მომხმარებლის მომსახურებაზე ორიენტაციის უნარი;
დ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ე) სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტაციის უნარი.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;

ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი.
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) წერითი დავალება;
გ) გასაუბრება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილი უნარებისა და უცხო ენის კომპეტენციის გათვალისწინებით.
14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
15. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
17. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ